აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 13

ქ. ქუთაისი **28 მარტი 2019 წ.**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის (ასოცირებული პროფესორის) დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის ჩატარების) წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის **(ასოცირებული პროფესორის)** დაკავებულ თანამდებობასთან / შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის პერსონალის **(ასოცირებული პროფესორის)** ატესტაციის ჩატარების წესი (თან ერთვის).

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დამტკიცებულია

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 28 მარტის #13 დადგენილებით

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის (ასოცირებული პროფესორის) დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის ჩატარების) წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ამ წესით რეგულირდება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის **(ასოცირებული პროფესორის)** დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის მოთხოვნები და პროცედურები.

მუხლი 2. ზოგადი დებულებანი

1. ამ დადგენილების შესაბამისად ატესტაცია არის საქართველოს კანონმდებლობითა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების აქტებით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის პერსონალის **(ასოცირებული პროფესორის)** საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან.

2. ატესტაციას ექვემდებარება პერსონალი, 6 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი) მაინც;

3. პირი, რომელსაც საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით შეჩერებული აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა ატესტაციას ექვემდებარება მომდევნო წელს.

მუხლი 3. ატესტაციის მიზნები

ატესტაციის მიზნებია:

ა) ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან;

ბ) პერსონალის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;

გ) პერსონალის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;

დ) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;

ე) პერსონალის პროფესიული ზრდის სტიმულირება.

მუხლი 4. ატესტაციის პრინციპები

ატესტაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) კანონიერება;

ბ) სამართლიანობა;

გ) საჯაროობა;

დ) გამჭვირვალობა;

ე) არადისკრიმინაციულობა;

ვ) ობიექტურობა;

ზ) მიუკერძოებლობა;

თ) კოლეგიალურობა.

მუხლი 5. ატესტაციის ჩატარების დრო

1. ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.

2. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს ამზადებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. ატესტაციის გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმებისა და პირობების შესახებ, ასევე, საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნდა ეცნობოს ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

4. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 6. საატესტაციო კომისია

1. ატესტაციას ატარებს უნივერსიტეტის საატესტაციო კომისიები (შემდგომში - კომისია) შესაბამისი პროფილის მიხედვით.

2. კომისიის წევრებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო. საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი ასევე მოწვეული სპეციალისტი.

3. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, შექმნას კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა და დანიშნოს ასეთი სპეციალიზებული კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

5. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ დამოუკიდებელი სპეციალისტები (პირები, რომლებიც სამსახურებრივად არ არიან დაკავშირებულნი უნივერსიტეტთან) და ასევე, შესაძლებელია მონაწილეობდნენ ადამიანური რესურსების მართვისათვის პასუხისმგებელი პირები ან უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლები, თუ ამგვარი ხელს არ შეუშლის პირის დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენას.

6. კომისიის მოწვეულ წევრთა შრომა უნდა ანაზღაურდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობები განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

7. კომისიის შემადგენლობის კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ადამიანური რესურსების სამსახური უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია კომისიის წევრთა შესახებ. სამსახურისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა შეიძლება გახდეს კომისიის წევრობაზე უარის თქმის საფუძველი. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დარღვევის აღმოჩენისას, სამსახურის უფროსი მიმართავს რეკომენდაციით რექტორს კომისიის შემადგენლობის კორექტირების თაობაზე.

8. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შეფასება.

9. პირს უფლება აქვს მოითხოვოს კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, ატესტაციის დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. ის, შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას ატესტაციას დაქვემდებარებული პირების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება ატესტაციის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

4. აცილების საფუძველი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ კომისიის წევრი არის საატესტაციო პირის მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავი, და-ძმა, დისშვილი და ძმისშვილი, დანათესავებულები (მოყვრები), ასევე, ისეთი გარემოება, რომ კომისიის წევრი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით ან არსებობს გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ამ შემთხვევაში, პირის კომისიიდან გამოყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

მუხლი 8. ატესტაციის ჩატარების პროცედურა

1. ატესტაციის პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე მაინც, ატესტაციას დაქვემდებარებული პირს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აცნობებს ატესტაციის ჩატარების შესახებ. ატესტაცია ცხადდება რექტორის ბრძანებით. ბრძანებაში განისაზღვრება საატესტაციო პირთა სია.

2. პირს უფლება აქვს ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს ნებისმიერ ხასიათის დოკუმენტს, რაც დაკავშირებულია ატესტაციის ჩატარებასთან.

3. ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და შესაბამისი საატესტაციო კომისია.

4. ატესტაცია შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმით: სხვადასხვა სახის ტესტირება და/ან მონაცემების შემოწმება ან/და გასაუბრება.

5. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით საატესტო თემატიკას, პირის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს წარმომადგენლობითი საბჭო ამ წესით, ხოლო დამატებით მოთხოვნებს, რომელიც არ შეიძლება სცილდებოდეს ამ წესით დადგენილ პირობებს, კომისია, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით.

6. გასაუბრების პროცესში, დაკავებულ თანამდებობასთან ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს პირის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიულ დონესა და კვალიფიკაციას დადგენილ წესისა და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

7. ატესტაციაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ატესტაციას დაქვემდებარებული პირის დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის თაობაზე.

მუხლი 9. საატესტაციო კომისიის მუშაობის ზოგადი წესი და შეფასების კრიტერიუმები

1. საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ წესით და რეგლამენტით, რომელსაც შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. პირველივე სხდომაზე საატესტაციო კომისია თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.

3. კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

4. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმებში.

5. საატესტაციო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა შეიმუშავებენ რეკომენდაციებს;

6. საატესტაციო პირს გასაუბრებაზე იწვევს უშუალოდ საატესტაციო კომისია.

7. კომისია უფლებამოსილია, აკადემიური პერსონალის (ასოცირებული პროფესორი,) შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება საატესტაციო პირის მიერ საცდელი ლექციის ჩატარებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ერთი დღით ადრე მაინც, აცნობებს მას.

8. საატესტაციო კომისია საატესტაციო პირის მონაცემებს, აკადემიური პერსონალის (ასოცირებული პროფესორი) შემთხვევაში, აფასებს შემდეგი კატეგორიებისა და პარამეტრების მიხედვით:

პირველი კატეგორია: ფორმალური სამეცნიერო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო შრომების შესაბამისობა

პარამეტრები:

1) აკადემიური ხარისხის შესაბამისობა;
2) სამეცნიერო შრომების შესაბამისობა;

მეორე კატეგორია: შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან

პარამეტრები:

1) პირის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული კურსებისა და მათი სილაბუსების შესაბამისობა.
2) გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 5 წელი)
3) სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა), ექსპერტობა და რეცენზენტობა (ბოლო 5 წელი)
4) ერთწლიანი საგანმანათლებლო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა (ბოლო 5 წელი)
5) პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (ბოლო 5 წელი)
6) საატესტაციო პირის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული კურსების, მათი სილაბუსებისა და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს, სალექციო კურსების, მეთოდური მითითებების შეფასება.

მესამე კატეგორია: სამეცნიერო კვლევა
პარამეტრები:

1) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობრივი ანალიზი. მათ შორის ბოლო 5 წლის მანძილზე არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომის ხარისხობრივი შეფასება (პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად, იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში; პუბლიკაციები ეროვნულ სამეცნიერო გამოცემებში).
   უპირატესობით სარგებლობს უფრო მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული:
   I. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულიატომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;
   II. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal&Country Rank-ის მიერ;
   III. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიების ხვა

საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია GoogleScholar-ში;

IV. ქართველოლოგიური დარგების მიმართულების აკადემიური პერსონალისთვის - ქართულ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;

V. სტატიები / თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

VI. სტატიები საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია GoogleScholar-ში;

2) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წელი)

უპირატესობით სარგებლობს:

I. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

II. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ;

III. ეროვნული ან საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის I დაII ქვეპუნქტებს;

IV. სხვა კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის I, II და III ქვეპუნქტებს;

3) დამატებითი სამეცნიერო აქტივობები (აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა, სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა და სხვა)

4) სამეცნიერო მონოგრაფიები(ბოლო 5 წელი)

უპირატესობით სარგებლობს:

I. მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & CountryRank-ისმიერ;

II. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*;

III. საქართველოში გამოცემული მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBNკოდი.

მეოთხე კატეგორია: სამეცნიერო საგრანტო პროექტები (ბოლო 5 წელი)
პარამეტრები:

1) დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა;
2) დაფინანსებულ საერთაშორისო საგრანტო პროექტში მონაწილეობა;
3) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა/მენეჯერობა;
4) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და ფინანსებულ სამეცნიერო გრანტში მონაწილეობა;
5) აწსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა/მენეჯერობა;
6) აწსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის მონაწილეობა;
7) სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა/მონაწილეობა;
8) სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის მონაწილეობა;
9) დაუფინანსებელ საერთაშორისო/ეროვნულ გრანტში მონაწილეობა.
10) უცხოური სამეცნიერო სტიპენდია
11) ეროვნული სამეცნიერო სტიპენდია
12) უცხოური ან ეროვნული სამეცნიერო ფონდის, უცხოური უმაღლესი სასწავლებლის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო მივლინება, აკადემიურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, სტაჟირება, სერთიფიცირება და სხვა.

მეხუთე კატეგორია: სამეცნიერო კვლევის კონცეფცია
პარამეტრები:

1) საკვლევი თემატიკის შეფასება
2) საკვლევი პრობლემის შეფასება
3) კომპეტენტურობა

მეექვსე კატეგორია: გასაუბრება
პარამეტრები:

1) პირის პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობა, აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა;
2) კომისიის გადაწყვეტილებისა და პირის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია გასაუბრების ვიდეო და/ან აუდიო ჩანაწერის განხორციელება.

9. პირის მიერ გასაუბრებაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს საატესტაციო პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს.

11. საატესტაციო კომისია საატესტაციო პირის მონაცემებს თითოეული კატეგორიის მიხედვით აფასებს სისტემით: მაღალი, საშუალო, დაბალი.

12. კომისია უფლებამოსილია საატესტაციო პირს რეკომენდაცია გაუწიოს **შესაბამისობაზე**, თუ მისი შეფასებები კატეგორიების მიხედვით ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- მაღალი ერთ-ერთში მაინც პირველ და მეორე კატეგორიებს შორის
- არანაკლებ საშუალო პირველ და მეორე კატეგორიებში
- მაღალი სამში მაინც მესამე-მეექვსე კატეგორიებს შორის
- არანაკლებ საშუალო მესამე, მეხუთე და მეექვსე კატეგორიებში
- არანაკლებ საშუალო მეშვიდე კატეგორიაში

13. საატესტაციო კომისია უფლებამოსილია პირის შეფასებისთვის გამოიყენოს ქულობრივი სისტემა. ასეთ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია რეკომენდაცია გაუწიოს განსაზღვრულ პირობებთან მისი შესაბამისობის შესახებ, თუ მისი ქულობრივი შეფასება შეადგენს მაქსიმალური შესაძლო შეფასების არანაკლებ 50% – ს

მუხლი 10. წარმოსადგენი საბუთები

1. პირის კომპეტენტურობის დადგენის მიზნით, ასოცირებულმა პროფესორებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, სამეცნიერო პედაგოგიური წოდების (ასეთი სარსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების სია დადასტურებით (სამეცნიერო შრომების სიის დასადასტურებლად, წარმოდგენილი უნდა იქნეს შრომები ან ინტერნეტ სივრცეში სამეცნიერო შრომის განთავსების შესაბამისი ბმული);

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ მის კვლევით პოტენციალს (სამეცნიერო ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმებით: ჟურნალი, რომელშიც გამოქვეყნებულია ნაშრომი ან ჟურნალიდან ამოღებული ქსეროასლი);

დ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 1 სახელმძღვანელო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის პროფესიულ გამოცდილებას;

ვ) ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსების სია - არანაკლებ 5 სასწავლო კურსი, მათ შორის 3 მაინც საბაკალავრო და 2 მაინც სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის შესაბამისი (შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის გათვალისწინებით);

ზ) წასაკითხად შემოთავაზებული არანაკლებ 3 სასწავლო კურსის სილაბუსი მათ შორის 1 მაინც საბაკალავრო და 1 მაინც სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის (შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის გათვალისწინებით);

თ) ინფორმაცია აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებების წევრობის შესახებ (დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით);

ი) ინფორმაცია შემდეგი აქტივობების შესახებ (დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით):

ი.ა. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი.ბ. საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო, ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი.გ. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი.დ. სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა) ექსპერტობა და რეცენზენტობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი.ე. წაკითხული სასწავლო კურსები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი.ვ. სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში); ი.ზ. გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი.თ. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

<u>შენიშვნა:</u> მედიცინის ფაკულტეტზე ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობის (გატარებული სტაციონალური და ამბულატორიული პაციენტების, კონსულტაციების, ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა და სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტი, სათანადოდ დადასტურებული კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ბ) შესაბამისი კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის სათანადოდ დადასტურებული წერილობითი თანხმობა მისდამი დაქვემდებარებულ ბაზაზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის წარმართვის შესახებ.

გ) ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ატესტაციას დაქვემდებარებული პირის დამატებით მოთხოვნად განისაზღვროს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დადასტურება (სერთიფიკატის წარმოდგენა/ გასაუბრება/ლექციის საჯაროდ წაკითხვა/ინგლისურ ენაზე აკადემიური საქმიანობის გამოცდილება).

2. ატესტანტების მიერ წარმოსადგენ საბუთებს იღებს საბუთების მიმღები კომისია, რომელსაც ბრძანებით ქმნის უნივერსიტეტის რექტორი. საბუთების მიღება უნდა დასრულდეს ატესტაციის ჩატარების დანიშნულ ვადამდე არაუმეტეს ერთი კვირით ადრე.
3. საბუთების მიმღები კომისია მიღებულ საბუთებს გადასცემს პროფილის შესაბამისად საატესტაციო კომისიას საბუთების მიღების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასების შედეგი და გადაწყვეტილების მიღება

1. კომისია აფასებს პირს, საჭიროების შემთხვევაში, ისმენს ატესტაცია დაქვემდებარებული პირის და მისი უშუალო ხელმძღვანელის განმარტებებს.

2. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

3. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

4. **ატესტაციის შედეგების მიხედვით, კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:**

ა) პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) პირი ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);

გ) ატესტაციას დაქვემდებარებული პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

7. კომისიის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 12. ატესტაციის შედეგები

1. კომისია ვალდებულია, თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა. დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

2. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ ეგზემპლარად და დახასიათებებთან ერთად ერთვის ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

3. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი საატესტაციო ფურცელს ეცნობა და ხელს აწერს მისი შევსებიდან 2 სამუშაო დღეში.

4. კომისიაუნივერისტეტის რექტორს მოახსენებს ატესტაციის შედეგებს, ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთ კვირაში.

5. უნივერსიტეტის რექტორი, კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან 3 დღის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას, პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან პირის მიმართ ატესტაციის შედეგის პირად საქმეში ასახვის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას).

6. კომისია, ატესტაციის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში, აკადემიურ საბჭოში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული ატესტაციის და მისი შედეგების შესახებ.

მუხლი 13. საპრეტენზიო კომისია

1. ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორის ბრძანებით.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები (მათ შორის, მოწვეული პირები). კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა ატესტაციის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საპრეტენზიო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

8. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს, მხოლოდ, წერილობითი ფორმით ატესტაციის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან - წერილობით გაგზავნის შემთხვევაში და გაგზავნიდან - გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შედგება ოქმი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 14. ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.